

სათემო ინვესტირების პროგრამა-დასავლეთი

2003 წლის თებერვალში ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის კომპანიამ დაიწყო “სათემო ინვესტირების პროგრამა”, რომლის მიზანია იყო ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისა და სამხრეთ კავკასიის გაზსადენის გასწვრივ მცხოვრები მოსახლეობის მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის ხელისშეწყობა და მათთვის უსაფრთხო გარემოს შექმნა.

“სათემო ინვესტირების პროგრამა-დასავლეთის” განმახორციელებელ ორგანიზაციათა კონსორციუმი, რომლის შემადგენლობაშიც შედის ქეა საერთაშორისო, ფონდი “კონსტანტა”, “ტექნიკური დახმარება საქართველოში” (TAG), საერთაშორისო ფონდი “კურაციო” (CIF) და “კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი” (ICCN), მუშაობს წალკის, ბორჯომის, ახალციხისა და ადიგენის რაიონების 46 თემში, რომლებიც განლაგებულია მილსადენის დასავლეთ ნაწილში.

პროგრამის მიზანია შეიქმნას ჰარმონიული და უსაფრთხო გარემო ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისა და სამხრეთ კავკასიის გაზსადენის გასწვრივ მცხოვრები მოსახლეობის მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის.

იმისათვის რომ აღმოიფხვრას პრობლემის ძირეული გამოძწვევი მიზეზები, რომლებიც ხელს უშლის მილსადენების გასაწვრივ მცხოვრები მოსახლეობის მდგრად სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას და მათთვის უსაფრთხო გარემოს შექმნას, პროგრამის განხორციელებისას კონსორციუმი იყენებდა სამ ძირითად სტრატეგიას: 1. პარტნიორობას, 2. სამოქალაქო საზოგადოების შექმნასა და 3. ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას.

თემში არსებულ ყველა სექტორთან მუშაობით პროექტი ქმნიდა მყარ მექანიზმს მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის. ძალიან მნიშვნელოვანია იმ მდგრადი სტრუქტურების არსებობა, რომელთაც შეეძლება რესურსების ერთობლივი მართვა, მობილიზაცია და განვითარებისაკენ მიმართული საქმიანობის კოორდინაცია, რათა მიღწეულ იქნას პროგრამის გრძელვადიანი შედეგები.

თემისათვის უფრო ხელმისაწვდმი გახდა საკუთარი განვითარებისათვის საჭირო რესურსები, რომლის კოორდინირება და ურთიერთშევესება უკეთესად მოხდა. თანამშრომლობის გაძლიერებას ხელისუფლების, სამოქალაქო საზოგადოებისა და ბიზნესის ინტერესებსა და რესურსებს შორის, ისევე როგორც, მონაწილეთა შორის პასუხისმგებლობასა და გამჭვირვალებას, მიყვავართ პრობლემის უკეთესად განსაზღვრამდე, რის შედეგადაც, გაწეული ძალისხმევა უფრო ნაკლებ დანახარჯიანი, ეფექტური და მდგრადია. ამასთანავე, ამ ცვილილებებითა და დამატებითი ინვესტიციებით პროექტმა დადებითი ცვილილებები მოუტანა მოსახლეობას. პროგრამის მოქმედების არეალში მცხოვრები დაახლოებით 38 000

ადამიანი ამა თუ იმ ფორმით სარგებლობს გაუმჯობესებული მომსახურებით და ინფრასტრუქტურით.

რას აკეთებდა “სათემო ინვესტირების პროგრამა-დასავლეთი”?

თემის განვითარება... სათემო ორგანიზაციების ჩამოყალიბებითა და მათი განვითარებით, რათა გაუმჯობესდეს მოსახლეობის მონაწილეობა და ანგარიშვალდებულება.

ადგილობრივი ინვესტირების უკეთესი დაგეგმვა... თანამშრომლობისა და კოორდინაციის ხელშეწყობით სათემო ორგანიზაციებს, ადგილობრივ ხელისუფლებას, სოფლის ლიდერებსა და ბიზნესს შორის.

ძირითადი სოციალურ-ეკონომიკური ინფრასტრუქტურის აღდგენა... მოსახლეობისათვის ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციო პროექტების დაგეგმვის, განხორციელებისა და მონიტორინგის სწავლებით, სარეაბილიტაციო გრანტების მოძიებისა და მიღების, სარეაბილიტაციო საქმიანობის მონიტორინგის გზით.

სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარების მექანიზმის გაუმჯობესება ... ყველაზე დაუცველი მოსახლეობის არა-ფულადი სახის დახმარებით (სასოფლო-სამეურნეო მასალები, გაუმჯობესებული ტექნოლოგიების შესახებ ტრენინგი)

სასოფლო-სამეურნეო მომსახურებისა და კონსულტაციების გაუმჯობესება... გაუმჯობესებული მემცენარეობა/მეცხოველეობის, მოსავლის შენახვის, მარკეტინგისა და ირიგაციის მეთოდების დემონსტრირებისა და ფერმერთა ტრენინგების საშუალებით.

უფრო მომგებიანი მეურნეობა... ფერმერთა ასოციაციების ჩამოყალიბებისა და განვითარების გზით, მცირე მეწარმეთათვის, მომსახურების მიმწოდებელთა და მეწარმე ფერმერთათვის სასოფლო სამეურნეო კრედიტის ხელმისაწვდომობის გაზრდით.

სოფლის შემოსავლიანობის გაუმჯობესება... მცირე ბიზნესის მიერ ინდივიდუალური და ჯგუფური სესხების მიღებით მცირე ვაჭრობისა და გადამამუშავებისათვის.

გარემოს დაცვა.. ფერმერთათვის ბიო-გაზის დანადგარის გაცნობისა და პილოტირების საშუალებით

თემის შიდა და თემთაშორისი კონფლიქტების შემსუბუქების უნარის გაძლიერება... ერთობლივი დაგეგმვისა და პრობლემის გადაჭრის უნარის განვითარება ტრენინგების მეშვეობით, თემებში კონფლიქტების უშუალო მედიაციითა და შემსუბუქებით

თემებში პირველადი სამედიცინო მომსახურეობის გაუმჯობესება... ჯანმრთელობის დაცვის საკითხებში მოსახლეობის გათვინციობიერების მეშვეობით, ჯანმრთელობის დაცვის მუშაკთათვის ტრენინგების ჩატარებით, თემის ჯანმრთელობის დაცვის ცენტრების საჭირო აპარატურით აღჭურვილად.

მოკლედ “სათემო ინვესტირების პროგრამის” შესახებ

პროექტის მიზანი: ბაქო-თბილისი-ჯეიჰანისა ნავთობსადენის და სამხრეთ კავკასიის გაზსადენის გასწვრივ მცხოვრები მოსახლეობის მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის ხელისშეწყობა და მათთვის უსაფრთხო გარემოს შექმნა.

ბენეფიციარები: მილსადენის დასავლეთ ნაწილში, 46 დასახლებულ პუნქტში მცხოვრები 38 000 ადამიანი

რაიონები: წალკა, ბორჯომი, ახალციხე და ადიგენი

ხანგრძლივობა: 2003 წლის თებერვალი- 2006 წლის მარტი

პროექტის ღირებულება: \$ 3,949,679 თემის წვლილისა და მოზიდული თანხების ჩათვლით

დონორი: Bთჩ/შჩP

შესრულებელი ორგანიზაციები: “ქეა”, “კოსტანტა”, “ტექნიკური დახმარება საქართველოში” (TAG), საერთაშორისო ფონდი “კურაციო” (CIF) და “კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო კვლევითი ცენტრი” (ICCN)

ეს გვერდი მომზადდა კომპანია “BP”-სა და მისი პარტნიორების ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენისა და სამხრეთ კავკასიური მილსადენის კომპანიების ფინანსური ხელშეწყობით. სტატიაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ორგანიზაცია ქეას და არ არის “BP”-ს, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენისა და სამხრეთ კავკასიური მილსადენის კომპანიების ოფიციალური შეხედულებების ამსახველი.